F 133
1941

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. 29 მაისი | № 17 | თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება
30. საქართველოს სსრ-ში მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

1556

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

**103.** **საქართველოს სსრ-ში მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარების ღონი ძიებათა შესახებ.**

„მეაბრეშუმეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ სს კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლ 13 მარტის დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1941 წ. № 9, მუხ. 149) განსახო ციელებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

**I. მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის განვითარების დარგში:**

1. დაწესდეს 1941—1947 წლებისათვის კოლმეურნეობებში თუთის სავა დებულო დარგვის შემდეგი სახელმწიფო გეგმა:

| წ ლ ე ბ ი | თუთის პლანტაციები (ჰექტარობით) | მაღალშტამბოვანი თუთის ნარგავები (ათასი ძირი) |
|---|---|---|
| 1941 წ. . . . . . | 160 | 2.500 |
| 1942 წ. . . . . . | 1257 | 3.033 |
| 1943 წ. . . . . . | 1230 | 2.750 |
| 1944 წ. . . . . . | 1170 | 2.105 |
| 1945 წ. . . . . . | 1120 | 1.195 |
| 1946 წ. . . . . . | 980 | 1.045 |
| 1947 წ. . . . . . | 886 | 972 |

2. დაწესდეს 1941-47 წლებისათვის კოლმეურნეობებში თუთის ხის და გვის გეგმის განაწილება ავტონომიური რესპუბლიკებისა ოლქისა და რაიო ბის მიხედვით, თანახმად დანართებისა №№ 1 და 2.

3. დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების, ოლ და რაიონების მიხედვით 1941—1947 წლებისათვის კოლმეურნეობებში თუ დარგვის შემდეგი სავალდებულო ნორმები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1941—1947 წლების პერიოდში თითოეული კოლმეურნეობისათვის თუთის დარგვის სავალდებულო ნორმები:**

| რ ა ი ო ნ ე ბ ი | თუთის პლანტა-ციები (ჰექტარო-ბით) | მაღალშტამბოვანი თუთის ნარგავები (ათასი ძირი) |
|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ასსრ | 1,5 | 3,7 |
| 2. აჭარის ასსრ | 1,0 | 3,0 |
| 3. აბაშის რაიონი | 2,0 | 3,0 |
| 4. ცხაკაიას " | 1,5 | 3,0 |
| 5. გეგეჭკორის " | 1,5 | 3,0 |
| 6. ზუგდიდის " | 1,5 | 3,0 |
| 7. ხობის " | 2.0 | 3,0 |
| 8. წალენჯიხის " | 2,0 | 3,0 |
| 9. ჩხოროწყუს " | 2,0 | 3,0 |
| 10. მახარაძის " | 1,5 | 3,0 |
| 11. ლანჩხუთის " | 1,5 | 3,0 |
| 12. ჩოხატაურის " | 1,5 | 3,0 |
| 13. ფოთის " | 2,0 | 8,0 |
| 14. ქუთაისის " | 3,0 | 3,0 |
| 15. წყალტუბოს " | 3,0 | 3,0 |
| 16. სამტრედიის " | 3,0 | 3,0 |
| 17. წულუკიძის " | 2,0 | 3,0 |
| 18. ვანის " | 2,0 | 3,0 |
| 19. მაიაკოვსკის " | 3,0 | 3,0 |
| 20. ზესტაფონის " | 1,0 | 3,0 |
| 21. ჩხარის " | 2,0 | 3,0 |
| 22. ჭიათურის " | 1,0 | 3,0 |
| 23. საჩხერის " | 1,0 | 3,0 |
| 24. ორჯონიკიძის " | 1,0 | 2,0 |
| 25. ტყიბულის " | 1,5 | 3,0 |
| 26. ონის " | 1,0 | 3,0 |
| 27. ამბროლაურის " | 1,0 | 2,0 |

№ 17

| რაიონები | თუთის პლანტაციები (ჰექტარობით) | მაღალშტამბოვანი თუთის ნარგავები (ათასი ძირი) |
|---|---|---|
| 28. ცაგერის „ . . . . . . . . | 1,0 | 2,0 |
| 29. სამხრეთ-ოს. ავ. ოლ. . . . . . . . . | 2,0 | 3,0 |
| 30. ახალციხის რაიონი . . . . . . . . | 2,5 | 5,0 |
| 31. ადიგენის „ . . . . . . . . | 2,5 | 5,0 |
| 32. ასპინძის „ . . . . . . . . | 2,0 | 4,0 |
| 33. ხაშურის „ . . . . . . . . | 2,5 | 4,0 |
| 34. ქარელის „ . . . . . . . . | 2,5 | 7,0 |
| 35. გორის „ . . . . . . . . | 2,0 | 5,0 |
| 36. კასპის „ . . . . . . . . | 2,0 | 13,0 |
| 37. დუშეთის „ . . . . . . . . | 1,5 | 3,0 |
| 38. თეთრიწყაროს „ . . . . . . | 1,5 | 4,0 |
| 39. თიანეთის „ . . . . . . . . | 2,0 | 5,0 |
| 40. გურჯაანის „ . . . . . . | 3,0 | 4,0 |
| 41. სიღნაღის „ . . . . . . . . | 4,0 | 5,0 |
| 42. წითელწყაროს „ . . . . . . | 4,0 | 5,0 |
| 43. თელავის „ . . . . . . . . | 3.0 | 4.0 |
| 44. ყვარლის „ . . . . . . . . | 5,0 | 6,0 |
| 45. ლაგოდეხის „ . . . . . . . . | 3,0 | 4,0 |
| 46. თბილისის „ . . . . . . . . | 3,3 | 13,8 |
| 47. მცხეთის „ . . . . . . . . | 3,0 | 13,0 |
| 48. ყარაიის „ . . . . . . . . | 4,0 | 5,0 |
| 49. ბორჩალოს „ . . . . . . . . | 3,0 | 4,0 |
| 50. ლუქსემბურგის „ . . . . . . . . | 3,0 | 5,0 |
| 51. საგარეჯოს „ . . . . . . . . | 3,0 | 5,0 |
| 52. ბაშკიჩეთის „ . . . . . . . | 2,0 | 1,0 |

4. ნება დაერთოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს მოახდინონ თუთის სავალდებულო დარგვის ნორმების დიფერენციაცია რაიონების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხედვით, ამასთან გაითვალისწინონ მიწის ფართობები და სოფლის მეურნეობის მიმართულება ისე, რომ აუცილებლად იქნას დაცული საშუალო ნორმა, რაც ამ დადგენილებით დაწესებულია აფხაზეთის და აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებისათვის.

5. განთავისუფლებულ იქნან თუთის სავალდებულო დარგვისაგან შემდეგი მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობანი: ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ყაზბეგის, ბორჯომის, წალკის, ქვემო სვანეთის, ზემო სვანეთის რაიონებისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონისა და აჭარის ასსრ ხულოს რაიონისა.

6. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს:

ა) 10 დღის ვადაში დაიყვანონ თითოეულ კოლმეურნეობამდე თუთის დარგვის 1941—1947 წლების სახელმწიფო გეგმა და თუთის დარგვის სავალდებულო ნორმები;

ბ) ერთი თვის ვადაში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინონ იმ ცალკეულ კოლმეურნეობათა სია, რომლებიც განთავისუფლებულ უნდა იქნან თუთის სავალდებულო ჩაბარებისაგან, თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1941 წლის 13 მარტს „მეაბრეშუმეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ მიღებული დადგენილების მე-3 პუნქტისა.

7. კოლმეურნეობებში თუთის ხის სავალდებულო გაშენება უნდა მოხდეს 1941 წლიდან დაწყებული, თანაბრად წლების მიხედვით, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ სარგავი მასალით უზრუნველყოფისას კოლმეურნეობებს საშუალება ექნეთ ვადამდე შეასრულონ თუთის დარგვის 1941—1947 წლების გეგმა.

8. ჩაეთვალოს კოლმეურნეობებს მაღალშტამბიანი თუთის ხის გაშენების სავალდებულო გეგმების ანგარიშში თუთის პლანტაციების გაშენება შემდეგი ანგარიშით: 1 ჰექტარი პლანტაცია, ხაზური და სხვა არამთლიან მასივებად გაშენებული 1.000 მაღალშტამბიანი ხის ნაცვლად.

9. კოლმეურნეობებს, რომლებმაც 1938—1940 წლების პერიოდში გააშენეს თუთის ხის პლანტაციები და უზრუნველჰყვეს მათი სავსებით შენარჩუნება და სათანადო მოვლა, აღნიშნული ნარგავები ჩაეთვალოს თუთის პლანტაციების სავალდებულო დარგვის მათთვის დაწესებული ნორმების ანგარიშში.

10. რჩევა მიეცეს კოლმეურნეებს, აგრეთვე სასოფლო ადგილებში მცხოვრებ მუშებსა და მოსამსახურეებს გააშენონ თუთის ხე საკარმიდამო ნაკვეთებზე.

11. დაწესდეს საკოლმეურნეო სანერგეებში თუთის სათესარებისა და ნერგის გამოზრდის გეგმა 1941—1942 წლებისათვის:

| წ ლ ე ბ ი | თუთის თესვა (ჰექტარ.) | თუთის სანერგეების გაშენება (ჰექტ.) |
|---|---|---|
| 1941 წ. . . . . . | 56 | 225 |
| 1942 წ. . . . . . | 70 | 225 |

12. დამტკიცდეს თუთის სათესარებისა და ნერგის გამოზრდის 1941 და 1942 წლების გეგმის განაწილება ავტონომიური რესპუბლიკებისა, ოლქისა და რაიონების მიხედვით, თანახმად დანართისა № 3.

13. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს:

ა) საკოლმეურნეო სანერგეების ქსელი მოიყვანონ სანერგე მასალის გამოზრდის გეგმის შესაბამისად იმ ანგარიშით, რომ თითოეული რაიონი უზრუნველყოფილ იქნას საკუთარი ნარგავი მასალით;

ბ) უზრუნველჰყონ რათა თუთის ნარგავების მქონე კოლმეურნეობებმა სწორად გააფორმონ და გაახალგაზრდაონ თუთის ძველი ნარგავები, გასწმინდონ ტანი და კრონა, მოაშორონ სარეველა ბალახები, შეიტანონ სასუქი, ჩაატარონ პლანტაციების რემონტი და თუთის ხის მასობრივი მყნობა მაღალმოსავლიანი ჯიშის თუთით;

გ) თუთის ხის ფოთლის მოსავლის გადიდებისა და თუთის ხის დაავადებისა და მავნებლების გავრცელების კერების ლიკვიდაციის მიზნით, ყოველწლიურად, ადრიან გაზაფხულზე და შემოდგომაზე, სავალდებულო წესით ჩაატარონ თუთის ნარგავებისათვის ნიადაგის მაღალხარისხოვანი ღრმა დამუშავება, ნარგავების ასაკის დამოუკიდებლად და იქონიონ ნიადაგი გაფხვიერებულ და სარეველა ბალახებისაგან გაწმენდილ მდგომარეობაში 1941 წლის შემოდგომაზე კი გაატარონ ეს ღონისძიება თუთის ყველა პლანტაციაზე, სადაც მიმდინარე წლის გაზაფხულზე ნიადაგის დამუშავება არ მომხდარა;

დ) იმ ადგილებში, სადაც შეუძლებელია ტრაქტორით ან ცხენით გაფხვიერება, გადაბარვა სწარმოებდეს ხელით, თითოეულ თუთის ხესთან შეიქმნას გაფხვიერებული შტამბისირგვლივი წრეები;

ე) თუთის ფოთლის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი მოსავლიანობის გადიდების მიზნით, ყოველწლიურად უზრუნველჰყონ კრონაზე მყნობა თუთის ძველი ნარგავების საერთო რიცხვის 5%-მდე, აგრეთვე ჩაატარონ ყველა სანერგეში, სადაც ხარისხოვანი ნერგი არ არის მყნობა მაღალმოსავლიანი ჯიშის თუთით.

14. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) გაითვალისწინოს მტს-ების გეგმებში კოლმეურნეობათა თუთის პლანტაციებისა და სანერგეების მექანიზებულ დამუშავებასთან დაკავშირებული ყოველგვარი სამუშაო (საპლანტაჟო და მზრალად ხვნა, პლანტაციების მწკრივებშორის დამუშავება, სათესლეებისა და ნერგის ამოთხრა);

ბ) ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და რაიონებს დაუგზავნოს ინსტრუქცია თუთის ხის სადედე-სათესლეების მოვლის შესახებ;

გ) მოაწყოს მიმდინარე წლის მაისში მეთუთეობისა და მეაბრეშუმეობის საკოლმეურნეო ბრიგადირების და რგოლხელმძღვანელების მოსამზადებელი და გადასამზადებელი ორკვირიანი კურსები 170 კაცისათვის;

დ) „აგროლესემის" საქართველოს კანტორის მეშვეობით დაამზადოს 1941 წელს თუთის ხის თესლი თუთის შერჩეული სადედე ხეებიდან ლაგოდეხის რაიონში 500 კილოგრამი, ბორჩალოს რაიონში—550 კილოგრამი, სამტრედიის რაიონში—150 კილოგრამი, წულუკიძის რაიონში—100 კილოგრამი, მახარაძის რაიონში—100 კილოგრამი, ზუგდიდის რაიონში—150 კილოგრამი.

1941 წ. 1 ივნისამდე შეარჩიოს მაღალმოსავლიანი ჯიშის სადედე თუთის ხეები ასპინძის რაიონში არანაკლებ 350 ძირისა და კასპის რაიონში არანაკლებ 200 ძირისა, ამასთან უზრუნველჰყოს თუთის თესლის დამზადება ამ რაიონებში შემდეგი რაოდენობით: ასპინძის რაიონში—300 კილოგრამი და კასპის რაიონში—150 კილოგრამი.

15. დაევალოს თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, ყვარლის, საგარეჯოს, კასპის, გორის, ზესტაფონის, სამტრედიის, წყალტუბოს, მაიაკოვსკის, ვანის, აბაშის, ცხაკაიას და გალის რაიონების მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს გააშენონ 1942 წელს თუთის ხეების სადედეები იმისათვის, რომ თითოეულ რაიონში მიღებულ იქნას სამყენი მასალა არანაკლებ 200 ძირი ხისა.

რჩევა მიეცეს აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობებს დარგონ შემდეგი ძირითადი ჯიშები: „კოჯუსო № 70", „ოშიმა" და „ოისშინო", „ქუთაისის სასელექციო № 3" და „თბილისის სასელექციო № 24".

16. დაევალოს ცხაკაიას, ქუთაისის, ზუგდიდის, კასპისა და გორის რაიონების მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს გააშენონ 1942 წელს სადედე-სათესლეები თითოეულ რაიონში არანაკლებ 200 ძირი ხისა.

 № 17

რჩევა მიეცეს აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობებს დარგონ შემდეგი ძირითადი ჯიშები: „ლუ" და „კატანეო".

17. წინადადება მიეცეს თბილისის მეაბრეშუმეობის ინსტიტუტს (ამხ. ჟღენტს) გასცეს 1941 წელს საჭირო რაოდენობის ნერგი და კალმები თუთის სადედეების გასაშენებლად ამ დადგენილების მე-15 და 16 პუნქტებში აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობებში.

18. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიიღოს და პრესაში გამოაქვეყნოს დადგენილება თუთის ყოველგვარი სახის ნარგავების მოჭრისა და ამოძირკვის აკრძალვის შესახებ.

19, რჩევა მიეცეს დასავლეთ საქართველოს რაიონების კოლმეურნეობებს თუთის ხის ნარგავების გამრავლება თესვასთან ერთად, აწარმოონ აგრეთვე დაკალმებისა და დაწინდული სადედე პლანტაციების გაშენების გზითაც.

20. იმის გამო, რომ 1941 წელს თუთის სარგავი მასალა მთლიანად გამოყენებული იქნება პლანტაციების გაშენების სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად და მაღალშტამბოვანი თუთის ხის დასარგავად, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან, წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატთან და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან ერთად 2 თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარმოუდგინოს ტყის ზოლების დასაცავად და ქალაქების, დაბების, საბჭოთა მეურნეობების, გზებისა და მაგისტრალური არხების გასამწვანებლად საჭირო თუთის ხის გაშენების გეგმა 1942—1943 წლებისათვის.

## II. აბრეშუმის ჭიის გამოკვების ორგანიზაციის შესახებ.

21. აბრეშუმის ჭიის საზოგადოებრივი გამოკვების ფორმებში არსებული სიჭრელის ლიკვიდაციის მიზნით, რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს:

ა) შექმნან ყველაზე უფრო კვალიფიციური მუშაკებისაგან მეაბრეშუმეობის მუდმივი ბრიგადები (რგოლები) იმ რაოდენობით, რაც საჭიროა მეთუთეობისა და მეაბრეშუმეობის სამუშაოთა შესასრულებლად იმ ვარაუდით, რომ ეს ბრიგადები (რგოლები) გამოკვების პერიოდში უმთავრესად ჭიის უკანასკნელ ასაკში, შეავსონ კოლმეურნეთა საჭირო რაოდენობით სხვა ბრიგადებისაგან;

ბ) აბრეშუმის ჭიის გამოკვებაზე, მათ შორის საკვების დამზადებაზე, მომუშავე კოლმეურნეებს შრომა აუნაზღაურონ შრომა-დღეების დარიცხვით პარკის მიღებული მოსავლის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. მეთუთეობისათვის, აგრეთვე ყველა სხვა სამუშაოებისათვის, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული გამოკვებასთან, შრომა-დღეები დარიცხულ იქნას საერთო საფუძვლებზე;

ბ) მისცენ მეაბრეშუმეობის ბრიგადების და რგოლების კოლმეურნეებს მოსავლიანობის გეგმის გადამეტებით მიღებულ თითოეულ კილოგრამ პარკში დამატებითი საზღაური ფულად შემდეგი ანგარიშით: კოლმეურნეობაში ერთი კილოგრამი პარკის საშუალო ღირებულების (დამამზადებელი პუნქტის საფასური) 75% რაოდენობით და ძირითადი საზღაურისა და იმ ჯილდო-წანამატების ჩათვლით რომლებსაც კოლმეურნეობა კონტრაქტაციის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ღებულობს;

დ) შეიტანონ იმ კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმებში, რომლებიც მეთუთეობას ეწევიან, მეაბრეშუმეობისა და მეთუთეობის სამუშაოები.

**22.** აბრეშუმის ჭიის საზოგადოებრივი გამოკვების ფართოდ განვითარებასთან ერთად საჭირო დახმარება გაეწიოს მეაბრეშუმე კოლმეურნეებს, რომლებიც პარკის კონტრაქტაციის ხელშეკრულებებს დასდებენ, იმ მხრივ, რომ მათ წარმატებით ჩაატარონ თავისი ჭიის გამოკვება: განთავისუფლებულ იქნან მეაბრეშუმე კოლმეურნეები კოლმეურნეობაში მუშაობისაგან 4—5 ასაკის ჭიის გამოსაკვებად, იმ შემთხვევაში, თუ ეს კოლმეურნეები გამოიყვანენ სულ მცირე 0,5 კოლოფი აბრეშუმის თესლს, დაეთმოს ტრანსპორტი საკვების გადასაზიდავად და პარკის ჩასაბარებლად, მიეცეს მათ ფასად საკოლმეურნეო აბრეშუმის ჭიის გამოკვებისაგან დარჩენილი თუთის ფოთლის მთელი ნამატი.

**23.** დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ჭიის გამოკვების დროისათვის მიამაგრონ კოლმეურნეობებს უსასყიდლო სარგებლობაში განსაზოგადოებული გამოკვებისათვის გამოუყენებელი საკვები ფონდები, რომლებიც მდებარეობენ საბჭოთა მეურნეობების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების ნაკვეთებზე და რკინიგზების განსხვისების ზოლებში.

**24.** რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს რომლებიც მეთუთეობას ეწევიან, ააშენონ სულ მცირე 1—2 საჭიე შენობა თვითეულ კოლმეურნეობაში.

**25.** დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და რაიკომებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეობებს იმ მხრივ, რომ მოეწყოს საზოგადოებრივი მეაბრეშუმეობა და მომარაგებულ იქნას ისინი ადგილობრივ სამშენებლო მასალებით საჭიე შენობების მოწყობისა და მშენებლობისათვის.

**26.** დამტკიცდეს 1941 წელს საჭიე შენობების მშენებლობის გეგმა 25 დათბუნებული და 225 გამარტივებული შენობის რაოდენობით, რაც განაწილდეს ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქისა და რაიონების მიხედვით, თანახმად დანართისა № 4.

**31.** ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს გაავრცელონ საქართველოს სსრ ყველა დანარჩენ რაიონზე მეთუთეობის ღონისძიებათა დაკრედიტების ნორმები და წესი, რომლებიც დაწესებულია ქართლის რაიონებისათვის სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 ოქტომბრის დადგენილებით „საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ საქართველოს პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარებისათვის, ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება საკვები ბაზის გაუმჯობესებისა და პარკის მაღალი მოსავლის მისაღებად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1941 წ. 24 აპრილი № 757.
თბილისი.

დანართი № 1.

## საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში თუთის პლანტაციების გაშენების გეგმა 1941—1947 წლებისათვის

| რ ა ი ო ნ ე ბ ი | თუთის პლანტაციების გაშენება ჰექტარობით | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1941 | 1942 | 1943 | 1944 | 1945 | 1946 | 1947 | სულ |
| 1. აფხაზეთის ასსრ | 1 | 70 | 70 | 70 | 60 | 50 | 39 | 360 |
| 2. აჭარის ასსრ | 1 | 30 | 30 | 25 | 25 | 20 | 18 | 149 |
| 3. აბაშის რაიონი | 2 | 20 | 15 | 10 | 10 | 8 | 7 | 72 |
| 4. ცხაკაიას | 2 | 20 | 15 | 10 | 10 | 8 | 6 | 71 |
| 5. გეგეჭკორის | 2 | 25 | 20 | 15 | 10 | 5 | 4 | 81 |
| 6. ზუგდიდის | 2 | 20 | 15 | 10 | 10 | 10 | 6 | 73 |
| 7. ხობის | 2 | 17 | 15 | 10 | 10 | 10 | 8 | 72 |
| 8. წალენჯიხის | 1 | 15 | 12 | 10 | 10 | 10 | 10 | 68 |
| 9. ჩხოროწყუს | 1 | 15 | 10 | 10 | 8 | 6 | 8 | 58 |
| 10. მახარაძის | — | 15 | 10 | 10 | 10 | 10 | 5 | 60 |
| 11. ლანჩხუთის | — | 20 | 16 | 10 | 10 | 5 | 5 | 66 |
| 12. ჩოხატაურის | 1 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 91 |
| 13. ფოთის | — | 1 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 16 |
| 14. ქუთაისის | 2 | 22 | 25 | 25 | 25 | 20 | 19 | 138 |
| 15. წყალტუბოს | 1 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 10 | 96 |
| 16. სამტრედიის | 2 | 24 | 24 | 24 | 24 | 15 | 28 | 141 |
| 17. წულუკიძის | — | 15 | 15 | 15 | 15 | 18 | 18 | 96 |
| 18. ვანის | 3 | 25 | 25 | 20 | 20 | 18 | 14 | 125 |
| 19. მაიაკოვსკის | 2 | 20 | 20 | 20 | 20 | 15 | 14 | 111 |
| 20. ზესტაფონის | 2 | 15 | 15 | 10 | 10 | 10 | 10 | 72 |
| 21. ჩხარის | 2 | 15 | 15 | 15 | 15 | 12 | 10 | 84 |
| 22. ჭიათურის | 2 | 8 | 10 | 10 | 9 | 8 | 8 | 55 |
| 23. საჩხერის | 2 | 10 | 10 | 8 | 8 | 7 | 7 | 52 |
| 24. ორჯონიკიძის | 1 | 12 | 15 | 15 | 15 | 15 | 14 | 87 |
| 25. ტყიბულის | 2 | 15 | 15 | 15 | 12 | 11 | 11 | 81 |
| 26. ონის | — | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 30 |
| 27. ამბროლაურის | 1 | 15 | 15 | 15 | 15 | 11 | 11 | 79 |
| 28. ცაგერის | 2 | 11 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 63 |
| 29. სამხ. ოს. ავტ. ოლქი | 2 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 98 | 600 |
| 30. ახალციხის | 3 | 25 | 25 | 25 | 18 | 15 | 14 | 125 |
| 31. ადიგენის | 2 | 20 | 20 | 15 | 15 | 15 | 13 | 100 |
| 32. ხაშურის | 8 | 40 | 40 | 40 | 35 | 32 | 30 | 225 |
| 33. ასპინძის | 2 | 20 | 20 | 15 | 15 | 15 | 13 | 100 |
| 34. ქარელის | 8 | 40 | 40 | 40 | 35 | 30 | 30 | 225 |
| 35 გორის | 8 | 50 | 50 | 50 | 50 | 40 | 32 | 280 |
| 36. კასპის | 8 | 35 | 35 | 30 | 25 | 25 | 22 | 180 |
| 37. დუშეთის | 6 | 10 | 20 | 20 | 20 | 15 | 14 | 105 |
| 38. თეთრიწყაროს | 7 | 20 | 10 | 10 | 10 | 10 | 8 | 75 |
| 39. თიანეთის | 7 | 20 | 6 | 8 | 8 | 6 | 5 | 60 |
| 40. გურჯაანის | 5 | 40 | 40 | 40 | 40 | 33 | 30 | 228 |
| 41. სიღნაღის | 5 | 35 | 35 | 35 | 35 | 20 | 19 | 184 |
| 42. წითელწყაროს | 3 | 20 | 20 | 20 | 20 | 20 | 21 | 124 |
| 43. თელავის | 5 | 50 | 50 | 45 | 45 | 45 | 30 | 270 |
| 44. ყვარელის | 5 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 30 | 210 |
| 45. მცხეთის | 8 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 20 | 153 |
| 46. ლაგოდეხის | 5 | 35 | 35 | 35 | 35 | 32 | 30 | 207 |
| 47. თბილისის | 8 | 30 | 30 | 30 | 30 | 20 | 14 | 162 |
| 48. ყარაიის | 5 | 15 | 15 | 15 | 15 | 12 | 11 | 88 |
| 49. ბორჩალოს | 3 | 35 | 35 | 35 | 35 | 37 | 36 | 216 |
| 50. ლუქსემბურგის | 3 | 22 | 23 | 27 | 24 | 20 | 13 | 132 |
| 51. საგარეჯოს | 5 | 18 | 30 | 30 | 30 | 15 | 16 | 144 |
| 52. ბაშკიჩეთის | — | 4 | 8 | 12 | 12 | 13 | 11 | 60 |
| სულ რესპუბლიკაში | 160 | 1257 | 1230 | 1170 | 1:20 | 980 | 886 | 6800 |

დანართი № 2.

## საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მაღალტანიანი თუთის ხეების გაშენების გეგმა 1941—1947 წლებისათვის

| რაიონები | მაღალშტამბიანი თუთის ხის გაშენება (ათასი ძირი) | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1941 წელი | 1942 წელი | 1943 წელი | 1944 წელი | 1945 წელი | 1946 წელი | 1947 წელი | სულ |
| 1. აფხაზეთის ასსრ | 150,0 | 150,0 | 100,0 | 120,0 | 120,0 | 120,0 | 131,0 | 891,0 |
| 2. აჭარის ასსრ | 50,0 | 100,0 | 80,0 | 70,0 | 70,0 | 42,0 | 35,0 | 447,0 |
| 3. აბაშის რაიონი | 40,0 | 20,0 | 15,0 | 9,0 | 8,0 | 8,0 | 8,0 | 108,0 |
| 4. ცხაკაიას | 30,0 | 50,0 | 30,0 | 9,0 | 8,0 | 7,0 | 7,0 | 141,0 |
| 5. გეგეჭკორის | 40,0 | 40,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 | 12,0 | 10,0 | 162,0 |
| 6. ზუგდიდის | 40,0 | 40,0 | 20,0 | 17,0 | 17,0 | 8,0 | 5,0 | 147,0 |
| 7. ხობის | 40,0 | 27,0 | 20,0 | 6,0 | 5,0 | 5,0 | 5,0 | 108,0 |
| 8. წალენჯიხის | 30,0 | 2[illegible],0 | 20,0 | 10,0 | 7,0 | 5,0 | 5,0 | 102,0 |
| 9. ჩხოროწყუს | 30,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 | 6,0 | 6,0 | 12,0 | 90,0 |
| 10. მახარაძის | 20,0 | 40,0 | 25,0 | 10,0 | 10,0 | 10,0 | 5,0 | 120,0 |
| 11. ლანჩხუთის | 20,0 | 40,0 | 25,0 | 15,0 | 12,0 | 10,0 | 10,0 | 132,0 |
| 12. ჩოხატაურის | 40,0 | 40,0 | 23,0 | 20,0 | 20,0 | 20,0 | 20,0 | 183,0 |
| 13. ფოთის | 30,0 | 10,0 | 7,0 | 7,0 | 7,0 | 7,0 | 7,0 | 75,0 |
| 14. ქუთაისის | 30,0 | 47,0 | 30,0 | 8,0 | 8,0 | 8,0 | 7,0 | 138,0 |
| 15. წყალტუბოს | 30,0 | 25,0 | 15,0 | 7,0 | 7,0 | 6,0 | 6,0 | 96,0 |
| 16. სამტრედიის | 60,0 | 20,0 | 15,0 | 10,0 | 8,0 | 7,0 | 21,0 | 141,0 |
| 17. წულუკიძის | 60,0 | 30,0 | 15,0 | 10,0 | 10,0 | 10,0 | 9,0 | 144,0 |
| 18. ვანის | 60,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 | 10,0 | 10,0 | 10,0 | 150,0 |
| 19. მაიაკოვსკის | 90,0 | 5,0 | 4,0 | 3,0 | 3,0 | 3,0 | 3,0 | 111,0 |
| 20. ზესტაფონის | 80,0 | 40,0 | 20,0 | 20,0 | 20,0 | 20,0 | 16,0 | 216,0 |
| 21. ჩხარის | 80,0 | 15,0 | 7,0 | 6,0 | 6,0 | 6,0 | 126,0 | 126,0 |
| 22. ჭიათურის | 20,0 | 30,0 | 25,0 | 25,0 | 25,0 | 20,0 | 20,0 | 165,0 |
| 23. საჩხერის | 30,0 | 25,0 | 25,0 | 20,0 | 20,0 | 20,0 | 16,0 | 156,0 |
| 24. ორჯონიკიძის | 20,0 | 14,0 | 35,0 | 30,0 | 25,0 | 25,0 | 25,0 | 174,0 |
| 25. ტყიბულის | 30,0 | 30,0 | 25,0 | 25,0 | 20,0 | 20,0 | 12,0 | 162,0 |
| 26. ონის | — | 10,0 | 15,0 | 20,0 | 20,0 | 15,0 | 10,0 | 90,0 |
| 27. ამბროლაურის | 30,0 | 15,0 | 25,0 | 25,0 | 25,0 | 20,0 | 18,0 | 158,0 |
| 28. ცაგერის | 40,0 | 25,0 | 15,0 | 15,0 | 15,0 | 10,0 | 10,0 | 126,0 |
| 29. სამხ. ოს. ავტ. ოლქი | 111,0 | 130,0 | 150,0 | 120,0 | 120,0 | 120,0 | 119,0 | 870,0 |
| 30. ახალციხის | 50,0 | 30,0 | 40,0 | 40,0 | 40,0 | 25,0 | 25,0 | 250,0 |
| 31. ადიგენის | 60,0 | 30,0 | 30,0 | 20,0 | 20,0 | 20,0 | 20,0 | 200,0 |
| 32. ხაშურის | 38,0 | 75,0 | 120,0 | 24,0 | 19,0 | 44,0 | 40,0 | 360,0 |
| 33. ასპინძის | 70,0 | 20,0 | 25,0 | 25,0 | 20,0 | 20,0 | 20,0 | 200,0 |
| 34. ქარელის | 52,0 | 150,0 | 200,0 | 120,0 | 35,0 | 40,0 | 33,0 | 630,0 |
| 35. გორის | 52,0 | 170,0 | 250,0 | 150,0 | 44,0 | 20,0 | 14,0 | 700,0 |
| 36. დუშეთის | 9,0 | 35,0 | 35,0 | 60,0 | 25,0 | 25,0 | 21,0 | 210,0 |
| 37. კასპის | 92,0 | 380,0 | 360,0 | 300,0 | 64,0 | — | — | 1196,0 |
| 38. თეთრიწყაროს | 38,0 | 35,0 | 35,0 | 60,0 | 12,0 | 10,0 | 10,0 | 200,0 |
| 39. თიანეთის | 18,0 | 20,0 | 30,0 | 40,0 | 15,0 | 15,0 | 12,0 | 150,0 |
| 40. გურჯაანის | 60,0 | 80,0 | 70,0 | 40,0 | 20,0 | 20,0 | 15,0 | 305,0 |
| 41. სიღნაღის | 60,0 | 60,0 | 40,0 | 25,0 | 15,0 | 15,0 | 15,0 | 230,0 |
| 42. წითელწყაროს | 40,0 | 40,0 | 30,0 | 15,0 | 10,0 | 10,0 | 10,0 | 155,0 |
| 43. თელავის | 80,0 | 100,0 | 60,0 | 40,0 | 30,0 | 25,0 | 25,0 | 360,0 |
| 44. ყვარელის | 90,0 | 80,0 | 30,0 | 20,0 | 12,0 | 10,0 | 10,0 | 252,0 |
| 45. ლაგოდეხის | 55,0 | 80,0 | 50,0 | 25,0 | 25,0 | 25,0 | 16,0 | 276,0 |
| 46. თბილისის | 65,0 | 200,0 | 150,0 | 150,0 | 30,0 | 30,0 | 23,0 | 648,0 |
| 47. მცხეთის | 70,0 | 150,0 | 200,0 | 160,0 | 30,0 | 30,0 | 23,0 | 663,0 |
| 48. ყარაიის | 35,0 | 30,0 | 15,0 | 10,0 | 10,0 | 5,0 | 5,0 | 110,0 |
| 49. ბორჩალოს | 45,0 | 60,0 | 60,0 | 43,0 | 26,0 | 25,0 | 27,0 | 286,0 |
| 50. ლუქსემბურგის | 40,0 | 60,0 | 40,0 | 25,0 | 20,0 | 20,0 | 15,0 | 220,0 |
| 51. ბაშკიჩეთის | — | 5,0 | 5,0 | 5,0 | 5,0 | 5,0 | 5,0 | 30,0 |
| 52. საგარეჯოს | 50,0 | 50,0 | 34,0 | 35,0 | 25,0 | 26,0 | 20,0 | 240,0 |
| სულ რესპუბლიკაში | 2500 | 3033 | 2750 | 2105 | 1195 | 1045 | 972 | 13600 |

დანართი № 3.

### საქართველოს სსრ-ში თუთის ხის სათესარების და ნერგის გამოყვანის გეგმა 1941—1942 წლებისათვის



| რ ა ი ო ნ ე ბ ი | თუთის ხის თესვა ჰექტარობით | | სანერგეების გაშენება ჰექტარობით | |
|---|---|---|---|---|
| | 1941 წ. | 1942 წ. | 1941 წ. | 1942 წ. |
| 1. აფხაზეთის ასსრ | 1,5 | 3,0 | 8,0 | 10,0 |
| 2. აჭარის ასსრ | 0,5 | 1,0 | 6,0 | 5,0 |
| 3. აბაშის | 1,5 | 2,5 | 4,0 | 2,0 |
| 4. ცხაკაიას | 1,5 | 2,5 | 3,0 | 3,0 |
| 5. გეგეჭკორის | 0,5 | 1,0 | 5,0 | 3,0 |
| 6. ზუგდიდის | 1,5 | 1,5 | 6,0 | 3,0 |
| 7. ხობის | 1,0 | 1,0 | 3,0 | 3,0 |
| 8. წალენჯიხის | 0,5 | 0,5 | 5,0 | 2,0 |
| 9. ჩხოროწყუს | 0,5 | 0,5 | 5,0 | 3,0 |
| 10. მახარაძის | 0,5 | 1,0 | 3,0 | 2,0 |
| 11. ლანჩხუთის | 1,5 | 1,5 | 4,0 | 4,0 |
| 12. ჩოხატაურის | 0,5 | 0,5 | 6,0 | 4,0 |
| 13. ფოთის | 0,5 | 0,5 | 2,0 | 2,0 |
| 14. ქუთაისის | 1,5 | 2,0 | 4,0 | 4,0 |
| 15. წყალტუბოს | 0,5 | 2,0 | 2,0 | 2,0 |
| 16. სამტრედიის | 2,0 | 2,5 | 6,0 | 6,0 |
| 17. წულუკიძის | 1,5 | 1,5 | 5,0 | 4,0 |
| 18. ვანის | 1,5 | 2,0 | 5,0 | 3,0 |
| 19. მაიაკოვსკის | 2,0 | 2,0 | 5,0 | 3,0 |
| 20. ზესტაფონის | 0,5 | 0,5 | 4,0 | 3,0 |
| 21. ჩხარის | 1,0 | 1,0 | 6,0 | 2,0 |
| 22. ჭიათურის | — | — | — | — |
| 23. საჩხერის | 0,5 | 1,0 | 4,0 | 4,0 |
| 24. ორჯონიკიძის | — | — | 3,0 | 3,0 |
| 25. ტყიბულის | — | 0,5 | 5,0 | 3,0 |
| 26. ონის | — | — | — | — |
| 27. ამბროლაურის | 0,5 | 1,0 | 5,0 | 4,0 |
| 28. ცაგერის | 0,5 | 0,5 | 5,0 | 5,0 |
| 29. სამხ. ოს. ავტ. ოლქი | 1,0 | 2,5 | 2,0 | 10,0 |
| 30. ახალციხის | 0,5 | 0,5 | — | 3,0 |
| 31. ადიგენის | 0,5 | 0,5 | — | 3,0 |
| 32. ხაშურის | 1,5 | 2,0 | 5,0 | 5,0 |
| 33. ასპინძის | — | 0,5 | — | 4,0 |
| 34. ქარელის | 2,5 | 2,0 | 8,0 | 9,0 |
| 35. გორის | 4,0 | 3,0 | 11,0 | 12,0 |
| 36. კასპის | 5,0 | 3,0 | 15,0 | 15,0 |
| 37. დუშეთის | 1,0 | 1,0 | 1,0 | 4,0 |
| 38. თეთრიწყაროს | 0,5 | 1,0 | 1,5 | 3,0 |
| 39. თიანეთის | 0,5 | 1,0 | 1,5 | 2,0 |
| 40. გურჯაანის | 1,0 | 2,0 | 6,0 | 4,0 |
| 41. სიღნაღის | 1,0 | 1,5 | 5,0 | 4,0 |
| 42. წითელწყაროს | — | 0,5 | 2,0 | 5,0 |
| 43. თელავის | 2,0 | 2,5 | 6,0 | 4,0 |
| 44. ყვარელის | 2,0 | 2,5 | 6,0 | 5,0 |
| 45. ლაგოდეხის | 3,0 | 3,0 | 6,0 | 5,0 |
| 46. თბილისის | 2,0 | 2,5 | 6,0 | 8,0 |
| 47. მცხეთის | 2,0 | 2,0 | 8,0 | 8,0 |
| 48. ყარაიას | — | 0,5 | 2,0 | 5,0 |
| 49. ბორჩალოს | 0,5 | 1,0 | 4,0 | 4,0 |
| 50. ლუქსემბურგის | 1,0 | 1,0 | 4,0 | 4,0 |
| 51. საგარეჯოს | 0,5 | 0,5 | 5,0 | 5,0 |
| 52. ბაშკიჩეთის | — | — | — | 2,0 |
| სულ რესპუბლიკაში | 56,0 | 70,0 | 225,0 | 225,0 |

დანართი № 4.

## გეგმა საჰიე შენობების მშენებლობის საქართველოს სსრ კოლმეურ-ნეობებში 1941 წლისათვის

| რ ა ი ო ნ ე ბ ი | დათბუნებული | გამარტივებული |
|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ასსრ . . . . . . . . . . . . | 1 | 10 |
| 2. აჭარის ასსრ . . . . . . . . . . . . . | 1 | 6 |
| 3. აბაშის რაიონი . . . . . . . . . . . . | 1 | 6 |
| 4. ცხაკაიას . . . . . . . . . . . . . | 1 | 7 |
| 5. გეგეჭკორის . . . . . . . . . . . . | 1 | 7 |
| 6. ზუგდიდის . . . . . . . . . . . . . | 1 | 7 |
| 7. ხობის . . . . . . . . . . . . . . | 1 | 5 |
| 8. წალენჯიხის . . . . . . . . . . . . | 1 | 5 |
| 9. ჩხოროწყუს . . . . . . . . . . . . | 1 | 5 |
| 10. მახარაძის . . . . . . . . . . . . | 1 | 6 |
| 11. ლანჩხუთის . . . . . . . . . . . . | — | 7 |
| 12. ჩოხატაურის . . . . . . . . . . . | 1 | 6 |
| 13. ფოთის . . . . . . . . . . . . . . | — | 2 |
| 14. ქუთაისის . . . . . . . . . . . . . | 1 | 8 |
| 15. წყალტუბოს . . . . . . . . . . . . | 1 | 8 |
| 16. სამტრედიის . . . . . . . . . . . | 1 | 3 |
| 17. წულუკიძის . . . . . . . . . . . . | 1 | 8 |
| 18. ვანის . . . . . . . . . . . . . . | 1 | 8 |
| 19. მაიაკოვსკის . . . . . . . . . . . | — | 8 |
| 20. ზესტაფონის . . . . . . . . . . . | 1 | 5 |
| 21. ჩხარის . . . . . . . . . . . . . . | — | 3 |
| 22. ჭიათურის . . . . . . . . . . . . | 1 | 4 |
| 23. საჩხერის . . . . . . . . . . . . . | — | 3 |
| 24. ორჯონიკიძის . . . . . . . . . . . | — | 4 |
| 25. ტყიბულის . . . . . . . . . . . . | — | 3 |
| 26. ონის . . . . . . . . . . . . . . . | — | 1 |
| 27. ამბროლაურის . . . . . . . . . . | — | 2 |
| 28. ცაგერის . . . . . . . . . . . . . | — | 2 |
| 29. სამხ. ოს. ავტ. ოლქი . . . . . . . | — | 2 |
| 30. ხაშურის . . . . . . . . . . . . . | — | 1 |
| 31. გორის . . . . . . . . . . . . . . | — | 2 |
| 32. კასპის . . . . . . . . . . . . . . | 1 | 3 |
| 33. გურჯაანის . . . . . . . . . . . . | 1 | 7 |
| 34. სიღნაღის . . . . . . . . . . . . | 1 | 7 |
| 35. წითელწყაროს . . . . . . . . . . . | — | 3 |
| 36. თელავის . . . . . . . . . . . . . | 1 | 9 |
| 37. ყვარელის . . . . . . . . . . . . | 1 | 7 |
| 38. ლაგოდეხის . . . . . . . . . . . . | 1 | 8 |
| 39. თბილისის . . . . . . . . . . . . | — | 4 |
| 40. მცხეთის . . . . . . . . . . . . . | — | 3 |
| 41. ყარაიის . . . . . . . . . . . . . | — | 1 |
| 42. ბორჩალოს . . . . . . . . . . . . | — | 6 |
| 43. ლუქსემბურგის . . . . . . . . . . | — | 1 |
| 44. საგარეჯოს . . . . . . . . . . . . | 1 | 6 |
| სულ რესპუბლიკაში . . . . . | 25 | 225 |

1941 - 349
ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28

შეკვეთა № 1664. ტირაჟი 1.600.